ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1936 წ. თებერვლის 20. № 3 ტფილისი

## შინაარსი

სამოქალაქო სამართალი.

19. განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების საიჯარო სარგებლობაში სამალაზიოდ, სასაწყობოდ და სხვა საამისო მიზნით გადაცემული სადგომების ვადამდე ჩამორთმევით მიყენებული ზარალისათვის ადგილობრივი საბჭოების პასუხისგებლობის შესახებ.

ვაჭრობა, მომარაგება.

20. კარტოფილის თავისუფალი ვაჭრობის ნებადართვის შესახებ.

კავშირგაბმულობა.

21. ,,კავშირგაბმულობის წამოწყებათათვის საჭირო სადგომთა ადგილობრივი ორგანოების მიერ უფასოდ მიცემის თაობაზე'' გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის აპრილის 1-ის დადგენილების შეფარდების შესახებ.

კომუნალური და საბინაო მეურნეობა.

22. გამომგონებელთა საბინაო შეღავათების შესახებ.

23. ,,დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების თაობაზე'' გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლისათვის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი) ,,ვ'' პუნქტის დამატების შესახებ.

ფინანსები.

24. 1936 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების დაბეგვრის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამოქალაქო სამართალი

## 19. დადგენილება ს.კ.ს.

**განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციების საიჯარო სარგებლობაში სამაღაზიოდ, სასაწყობოდ და სხვა საამისო მიზნით გადაცემული სადგომების ვადამდე ჩამორთმევით მიყენებული ზარალისათვის ადგილობრივი საბჭოების პასუხისმგებლობის შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დაწესებულ იქნას, რომ ადგილობრივი საბჭოები იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი, სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობის მოსაზრებით, ვადამდე ჩამოართმევენ განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციებს მათ საიჯარო სარგებლობაში მაღაზიის, საწყობისა და სხვა სავაჭრო-სამრეწველო მიზნისათვის გადაცემულ სადგომებს,—მოვალენი არიან დააკისრონ ახალ მოიჯარეებს აუნაზღაურონ ძველ მოიჯარეებს ის ხარჯი, რაც მათ გასწიეს ჩამორთმეული სადგომების რემონტსა და მოგვარებაზე და რაც მათ ვერ აინაზღაურეს სადგომების გამოყენებით; წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილობრივი საბჭოები პასუხს აგებენ თავიანთი მოქმედებით მიყენებული ზარალისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს.-ის საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1935 წ. დეკემბრის 31. № 1790.
ტფილისი

---

# ვაჭრობა. მომარაგება.

## 20. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ.(ბ) ც.კ.

**კარტოფილის თავისუფალი ვაჭრობის ნებადართვის შესახებ.**

საქართველოს სსრ-ში კარტოფილის დამზადებისათვის დადგენილი გეგმის შესრულების გამო და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ა/წ. იანვრის 7-ის დადგენილებისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. იანვრის 15-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ნება დაერთვას კოლექტიურ მეურნეობებს, კოლმეურნეებს და ერთპიროვ-ნულ მშრომელ მეურნეებს მიჰყიდონ დაუბრკოლებლად თავიანთი კარტოფილი სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და აგრეთვე გაყიდონ ქალაქე-ბისა და სოფლების ბაზრებზე და რკინის გზის სადგურებზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. კ. პ. (ბ) ც.კ-ის მდივანი ლ. ბერია.

1936 წ. იანვრის 17. № 17

ტფილისი

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 15 №-ში 1936 წ. იანვრის 18.

---

## კავშირგაბმულობა

### 21. დადგენილება ს.კ.ს.

**„კავშირგაბმულობის წამოწყებათათვის საჭირო სადგომთა ადგილობრივი ორგანოების მიერ უფასოდ მიცემის თაობაზე" გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის აპრილის 1-ის დადგენილების შეფარდების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

განმარტებულ იქნას, რომ საიჯარო ქირის გადახდისაგან მუნიციპალიზე-ბული სახლების სადგომებში მოთავსებულ-ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულე-ბათა განთავისუფლების ვალდებულება ეხება ყველა ადგილობრივ საბჭოს, მათ შორის, დამოუკიდებელ საადმინისტრაციო-სამეურნეო ერთეულებად გამოყოფი-ლი ქალაქების საქალაქო საბჭოებსაც, და რომ საიჯარო ქირისაგან განთავისუ-ფლებულ უნდა იქნას მხოლოდ ის სადგომები, რომლებიც ფოსტა-ტელეგრა-ფის ოპერაციულ დაწესებულებებს (კანტორებს, განყოფილებებს) უჭირავთ, და არა კავშირგაბმულობის ყველა დამხმარე წამოწყების მიერ დაჭერილი სადგო-მები.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. დეკემბრის 29. № 1760.

ტფილისი

---

## კომუნალური და საბინაო მეურნეობა

### 22. დადგენილება ც.ა.კ და ს.კ.ს.

**გამომგონებელთა საბინაო შეღავათების შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. იმ გამომგონებლებზე, რომელთაც აქვთ საავტორო მოწმობები და რომელთაც თავი იჩინეს სასარგებლო გამონაგონებით (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 21 №-ი, მუხ. 181), გავრცელებულ იქნას კანონით სამეცნიერო მომუშავეთათვის დადგენილი ყველა საბინაო შეღავათი.

2. გამომგონებლებად, რომელთაც თავი იჩინეს სასარგებლო გამონაგონებით ამა დადგენილების თვალსაზრისით, ითვლებიან:

ა) ის პირნი, რომელთა გამონაგონებიც შთანერგილია წარმოებაში;

ბ) ის პირნი რომელთა გამონაგონებანიც, თუმცა ჯერ შთანერგილი არ არის წარმოებაში, მაგრამ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული საგამომგონებლო კომიტეტის ან გამომგონებელთა სრულიად საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ ცნობილია გამოჩენილ გამონაგონად.

3. ინსტრუქციას იმ მოწმობათა გაცემისა და რეგისტრაციის შესახებ, რომლებითაც გამომგონებლებს საბინაო შეღავათების უფლება ეძლევათ, გამოსცემს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საგამომგონებლო კომიტეტთან და საქართველოს სსრ გამომგონებელთა სრულიად საქართველოს საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით.

**სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა გ. სტურუა.**
**საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე გ. მგალობლიშვილი.**
**სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ.დ.ა. ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. იანვრის 17. № 116/20.
ტფილისი.

---

## 23. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

**„დაჭერილი სადგომებიდან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული დეკრეტის მე-11 მუხლისათვის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დანართი) „ვ“ პუნქტის დამატების შესახებ.**

„კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის საწარმოო წამოწყებათა ტერიტორიიდან ამ სახალხო კომისარიატის ორგანოებში არამომუშავე პირთა გამოსახლების შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. ნოემბრის 20-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 59 №-ი, მუხ. 483), სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „დაჭერილი სადგომები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით გამოსახლების შესახებ“ გამო-ცემული 1927 წ. მარტის 20-ის დეკრეტის მე-11 მუხლის (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 172 მუხლის დამატება-საქ. სსრ კან. კრ. 1933 წ. 26 №-ი, მუხ. 338) დაემატოს „ვ“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

[11. განსაკუთრებული წესების დაცვით სწარმოებს გამოსახლება ადმინისტრაციული წესით:...........]

„ვ) კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის იმ საწარმოო წამოწყებათა (ტელეგრაფი, ფოსტა, ტელეფონის სადგურები და რადიოსადგურები) ტერიტორიაზე მდებარე სადგომებიდან, რომელთაც უაღრესი და თავდაცვითი მნიშვნელობა აქვთ,—კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატის ორგანოებში არამომუშავე პირების ან იმ პირებისა, რომელთაც დაკარგეს კავშირი ამ ორგანოებთან (სსრკ კან. კრ. 1935 წ. 50 №-ი, მუხ. 483)“.

სრ. საქ. ც.ა.კ-ის თავმჯდომარის მ.დ.ა **გ. სტურუა.**
საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**
სრ. საქ. ც.ა.კ-ის მდივნის მ.დ.ა **ვ. კვირიკაძე.**

1936 წ. იანვრის 14. № 114/11.
ტფილისი.

---

# შ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

## 24. დადგენილება ს.კ.ს

**1936 წელს საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღებით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობების დაბეგვრის შესახებ.**

„საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 5-ის დადგენილების მე-2-მუხლისა (სსრკ კან. კრ. 1936 წ. № 2, მუხ. 18) და „ა/კსფსრ სოფლებში საბინაო კულტურული და საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღების შესახებ“ გამოცემული, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1936 წ. იანვრის 21-ის დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღები 1936 წელს ჩატარებულ უნდა იქნას, ქვემოაღნიშნულ საფუძველზე, სოფლად სააგარაკო დაბებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, სადაც სასოფლო მეურნეობის მწარმოებელი მოსახლეობა 1935 წელს დაბეგრილი იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადით.

შენიშვნა. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში გამოსაღებით, ამა დადგენილების წესისამებრ, იბეგრებიან მხოლოდ ის მეურნეობანი, რომელნიც 1935 წელს დაბეგრილ იყვნენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით ან რაიმე შეღავათის გამო განთავისუფლებულ იქნენ ამ გადასახადისაგან.

2. გამოსაღებით დაიბეგრებიან:

ა) კოლმეურნეთა მეურნეობანი;

ბ) ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი.

3. კოლმეურნეთა მეურნეობანი და ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობანი იბეგრებიან გამოსაღებით შემდეგი რაოდენობით:

| ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი და რაიონები. | კოლმეურნენი | | ერთპიროვნული მეურნენი | |
|---|---|---|---|---|
| | რომელთაც არ აქვთ შემოსავლის განუსაზოგადოებელი წყაროები. | რომელთაც აქვთ შემოსავლის განუსაზოგადოებელი წყაროები | რომელთაც არა ჰყავთ მუშასაქონელი და არა აქვთ არც სახნავი, არც არასამიწათმოქმედო შემოსავალი | რომელთაც ჰყავთ მუშა საქონელი ან აქვთ სახნავი და არასამიწათმოქმედო შემოსავალი |
| | | | სასოფ.-სამეურნეო გადასახადის | სასოფ.-სამეურნეო გადასახადის |
| 1. აფხაზეთის ასსრ, აჭარისტანის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . | 5 მან. | 20 მან. | 80% | 120% |
| 2. დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, წალკის, ბორჩალოს, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ხორაგაულის, ჭიათურის, ჩხარის, ტყიბულის, ონის, ცაგერის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ფოთის და ქვემო-სვანეთის რაიონები . . . . . . . . . . | 5 მან. | 1 მან. | 75% | 110% |
| 3. თელავის, საგარეჯოს, ალბულახის, ყარაიას, ბაშკიჩეთის, კასპის, გორის, ხაშურის, ბორჯომის, ჯუღელის, ამბროლაურის, ქუთაისის, ვანის, სამტრედიის, ხონის, აბაშის, მარტვილის, სენაკის, ხობის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის და მახარაძის რაიონები . . . . . . . | 5 მან. | 20 მან. | 80% | 120% |
| 4. ტფილისის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ლუქსემბურგის, ბაღდადის და ზუგდიდის რაიონები . . . . . . . . . . . | 5 მან. | 27 მან. | 85% | 135% |
| რესპუბლიკაში . . . . | 5 მან. | 20 მან. | 80% | 120% |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა შემთხვევაში ერთპიროვნული მეურნეობის გამოსაღების თანხა უნდა და იყოს არა ნაკლებ, ვიდრე 25 პროცენტით მეტი იმ განაკვეთებზე, რაც უწყებულ ადგილას დადგენილია შემოსავლის განუსაზოგადოებელი წყაროების მქონე კოლმეურნეთათვის.

კულაკური მეურნეობანი ყველგან გამოსაღებს იხდიან 1935 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთის 200%-ის რაოდენობით.

**4.** იმ კოლმეურნის მეურნეობას, რომელსაც ორზე მეტი არაშრომაუნარიანი წევრი ჰყავს, გამოსაღების რაოდენობა შეუმცირდება: როდესაც სამი არაშრომაუნარიანი წევრია—20%-ით, როდესაც ოთხი არაშრომაუნარიანი წევრია—30%-ით, როდესაც ხუთი და მეტი არაშრომაუნარიანი წევრია 40%-ით.

**5.** ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები აწესებენ საშუალო განაკვეთებს ამ რესპუბლიკებსა და ოლქში შემავალი რაიონებისათვის.

**6.** სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, მე-3 მუხლით დადგენილ ფარგლებში აწესებენ გამოსაღების საბოლოო განაკვეთებს ცალკეული სოფლებისათვის, ხოლო ამა თუ იმ შემთხვევაში—ცალკეული კოლექტიური მეურნეობებისათვისაც. ეს განაკვეთები თანაბარი უნდა იყოს უწყებული კოლექტიური მეურნეობის ყველა მეურნეობისათვის.

**7.** თვითეულ რაიონსა და სასოფლო საბჭოში ან თვითეულ სოფელში განაკვეთების დადგენის დროს უცვლელად უნდა დარჩეს მეურნეობათა თვითეული ცალკე კატეგორიისათვის გამოსაღების საერთო თანხა, იმ საშუალო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრული, რაც დადგენილია რესპუბლიკებისათვის, ოლქისათვის და რაიონისათვის..

**8.** ის კოლმეურნენი და მშრომელი ერთპიროვნული მეურნენი, რომელთაც აქვთ არასამიწათმოქმედო შემოსავალი, რაც 1935 წელს დაბეგრილი ან დასაბეგრი იყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, არ დაიბეგრებიან ცალკეულად კულტურული გამოსაღებით ამ შემოსავლისათვის.

**9.** მშრომელი ერთპიროვნული მეურნის მეურნეობა, რომელიც შევიდა კოლექტიურ მეურნეობაში გამოსაღების გადახდის პირველ ვადამდე, დაიბეგრება კოლმეურნეთა მეურნეობის თანაბრად.

კოლექტიური მეურნეობიდან გამოსული მეურნეობა გამოსაღებს იხდის ისე, როგორც ერთპიროვნული მეურნეობა.

**10.** გამოსაღების გადახდისაგან განთავისუფლდებიან კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი:

ა) ზემო-სვანეთის რაიონისა;

ბ) ყველა იმ სოფლისა, რომელიც შედის დუშეთის რაიონის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის სასოფლო საბჭოების შედგენილობაში;

გ) თიანეთის რაიონის სოფ. ხაშალისა და ბაჩალისა.

ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ გაანთავისუფლონ გამოსაღებით და-

ბეგვრისაგან ცალკეული სოფლების კოლმეურნეთა და მშრომელ მეურნეთა მეურნეობანი.

**11.** გამოსაღებით დაბეგვრისაგან განთავისუფლდებიან კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომლების შედგენილობაშიაც შედის საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის ორდენით და საპატიო რევოლუციონური იარაღით დაჯილდოვებული პირი, შრომის გმირი და აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდი.

**12.** მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებს, რომელთა შედგენილობაშიაც შედიან მე-11 მუხლში ჩამოთვლილი პირნი, აქვთ შემდეგი შეღავათები: მეურნეობას უმცირდება გამოსაღები, გამოანგარიშებული განაკვეთის 20%-ის დაკლებით, უკეთუ მეურნეობაში არის ოჯახის სხვა შრომაუნარიანი წევრი, და 40%-ის დაკლებით, უკეთუ მეურნეობაში არ არის ოჯახის სხვა შრომაუნარიანი წევრი.

**13.** ის მუშა და მოსამსახურე, რომელიც სასოფლო მეურნეობას აწარმოებს საკარმიდამო მიწაზე და რომელსაც ჰყავს 1 ძროხა და წვრილფეხა საქონელი და აქვს სათიბი და ბოსტანი, ხოლო არა აქვს სამინდვრე მიწა და არა ჰყავს მუშა-საქონელი, არ დაიბეგრება გამოსაღებით სასოფლო მეურნეობის შემოსავლისათვის, უკეთუ სამუშაო ხელფასი მისი შემოსავლის ძირითადი წყაროა.

**14.** სასოფლო საბჭოს შეუძლია გაანთავისუფლოს გამოსაღებით დაბეგვრისაგან მთლად ან ნაწილობრივ კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა ცალკეული მცირეძალოვანი მეურნეობანი; ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 1935 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლებულ კოლმეურნეთა მეურნეობებს.

**15.** დაწესებულ იქნას კოლმეურნეთა და მშრომელ ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისათვის გამოსაღების გადახდის შემდეგი ვადები:

აფხაზეთის ავტ. სსრ-სა, აჭარისტანის ავტ. სსრ-სა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქში და ყაზბეგის, თიანეთის, წაკლის, ბაშკიჩეთის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონებში:

I-ვადა 1936 წ. თებერვლის 20—გამოსაღების განაკვეთის 50%
II „ „ მარტის 15 „ „ 50%

დანარჩენ რაიონებში:

I-ვადა—1936 წ. თებერვლის 15—გამოსაღების განაკვეთის 50%
II „ „ მარტის 15— „ „ 50%

კულაკური მეურნეობანი იხდიან გამოსაღებს სრულად 1936 წ. თებერვლის 15-თვის, და მათ არავითარი შეღავათი გამოსაღებით დაბეგვრაში არა აქვთ.

**16.** შემოსული კულტურული გამოსაღების მთელი 100% ჩაირიცხება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში; ამასთანავე, აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიაზე შემოსული კულტურული გამოსაღები მთლად გადაიცემა ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ბიუჯეტებში: თანაც სასოფლო საბჭოებისა და რაიონების ტერიტორია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზე შემოსული გამოსაღების არა ნაკლებ 30 პროცენტისა გადაიცემა ავტ. რესპუბლიკებისა და ოლქის სასოფლო ბიუჯეტებში და არა ნაკლებ 20 პროცენტისა-სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების ბიუჯეტებში; ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში მთლად მიღებული კულტურული გამოსაღების 50% გადაიცემა სათანადო ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში—ისე, რომ სასოფლო ბიუჯეტებში გადაცემულ იქნას არა ნაკლებ უწყებული სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შემოსული გამოსაღების 30 პროცენტისა.

**17.** წინადადება მიცეს ავტონომიური რესპუბლიკების და ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ გაშალონ მასური მუშაობა სოფლის მშრომელთა შორის საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის დადგენილი გამოსაღების კანონის განსამარტებლად და უზრუნველყონ ამ საფუძველზე გამოსაღების 100%-ით შემოსვლა კანონით დაწესებულ ვადაზე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ის თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. სსრ ს.კ.ს-ის საქმეთა მმართველი **ა. ქავთარაძე.**

1936 წ. იანვრის 23. № 25.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 25 №-ში 1936 წ. თებერვლის 1.

ფასი 20 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ის / საქმ. მმართველობა 1936 წ. № 5. პ/მ. რედაქტორი ე. ბამრეკელი

ქაღალდის ფორმატი 62×94 სმ.; 5/8 ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 29/I ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/II ტირაჟი 2.000

მთავლ. რწმ. № 87030 საქ.სახ.კომ.საბჭოს საქმ. მმართვ. სტამბა, ტფილისი. შეკვ. № 95